

არასამთავრობო ორგანიზაციების პლატფორმა

„არა ფობიას!“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. პლატფორმის „არა ფობიას!“ მიზანი

პლატფორმის მიზანია, უზრუნველყოს არასამთავრობო ორგანიზაციათა მჭიდრო თანამშრომლობა ქართულ პოლიტიკასა და მედია სივრცეში სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინებების აღმოსაფხვრელად.

2. პლატფორმის ამოცანები

ა. რეაგირება სიძულვილის ენის გამოვლინების ფაქტებზე ერთობლივი განცხადებების, დეკლარაციების და სხვა რელევანტური მექანიზმების გამოყენებით;

ბ. საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანებების ხელშეწყობა სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, შიდაპარტიული მექანიზმების შექმნისათვის;

გ. მედია წიგნიერების განვითარება;

დ. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სიძულვილის ენის და შეუწყნარებლობის საფრთხეებზე.

3. პლატფორმის „არა ფობიას!“ წევრები

პლატფორმის წევრები არიან შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები:

- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
- მედიის განვითარების ფონდი
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
- ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
- საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- იდენტობა
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი
- ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
- საქართველოს რეფორმების ასოციაცია
- უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი
- კავშირი საფარი

4. პლატფორმის გაფართოება

პლატფორმაში ახალი წევრის მიღება ხდება ყველა წევრ ორგანიზაციას შორის კონსენსუსით, მსურველი ორგანიზაციის ან წევრი ორგანიზაციის ინიციატივის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარუდგინოს პლატფორმის სამდივნოს ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია და ორი რეკომენდაცია.

5. პლატფორმიდან გასვლა

5.1 პლატფორმიდან გასვლა ხდება ნებაყოფლობით, პლატფორმის სამდივნოსთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

5.2 ორგანიზაცია პლატფორმიდან გასულად ჩაითვლება შეტყობინების მიღებიდან 1 სამუშაო დღეში.

6. პლატფორმიდან გარიცხვა

6.1 წევრი ორგანიზაციის პლატფორმიდან გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება წევრ ორგანიზაციებს შორის კონსენსუსით, გარდა გარიცხვის კანდიდატი ორგანიზაციისა.

6.2 გარიცხვის საკითხის დაყენება შესაძლებელია წევრი ორგანიზაციის მიერ პლატფორმის საერთო კრებაზე.

6.3 გარიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს წევრი ორგანიზაციის მიერ პლატფორმის მიზნებთან და ამოცანებთან შეუფერებელი საქმიანობა.

7. პლატფორმის საერთო კრება

7.1 პლატფორმის საერთო კრების მოწვევა შეუძლია ნებისმიერ წევრ ორგანიზაციას.

7.2 საერთო კრების მოწვევის მიზეზი შეიძლება გახდეს პლატფორმის გაფართოების, პლატფორმიდან გარიცხვის, ასევე, პლატფორმის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

8. პლატფორმის სამდივნო

პლატფორმის სამდივნოს ფუნქციას ახორციელებს მისი ერთ-ერთი წევრი ორგანიზაცია, საერთო კრებაზე მიღწეული კონსენსუსის გზით.

9. განცხადებები, დეკლარაციები და სხვა საჯარო კომუნიკაცია პლატფორმის სახელით

9.1 პლატფორმა „არა ფობიას!“ სახელით განცხადების და დეკლარაციის გავრცელებისთვის აუცილებელია პლატფორმის ყველა წევრი ორგანიზაციის თანხმობა.

9.2 წინა პუნქტში (9.1) განსაზღვრული წესი არ ვრცელდება მონიტორინგის შედეგების და სხვა კვლევითი ნაშრომების "არა ფობიას!" სახელით გავრცელებაზე იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ნაშრომზე იდენტიფიცირებულია შემსრულებელი ორგანიზაცია ან ორგანიზაციები.